იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის
დებულება

მუხლი 1. იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი

იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი (შემდგომში - ქსელი) არის საქართველოში მოქმედ უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც ქსელის მიზნების შესაბამისად უზრუნველყოფს წევრთა შორის თანამშრომლობისა და საქმიანობის კოორდინაციას.

მუხლი 2. ქსელის მიზანი

1. ქსელის მიზნებია:

ა) უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

ბ) საქართველოში სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და განხორციელება;

გ) იურიდიული დახმარების მდგრადი და ეფექტიანი გადამისამართების (რეფერალური) სისტემის შექმნა.

დ) ქსელის წევრთა შორის ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის განმტკიცება, სამართლებრივი გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) იურიდიული დახმარება/მომსახურება - სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში, საგამოძიებო ორგანოში, საარბიტრაჟო სასამართლოში, სამედიაციო პროცესში, საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო სასამართლოებში;

ბ) იურიდიული დახმარების მიმწოდებელი - უფასო იურიდიული დახმარების განმახორციელებელი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის სფერო, გეოგრაფიული დაფარვის არეალი და მომსახურების ტიპი შეესაბამება იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის სამართლებრივ საჭიროებას;

გ) იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირი – საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, იურიდიული პირი, უცხო ქვეყნის მოქალაქე რომელმაც ქსელს იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა;

დ) გადამისამართება - იურიდიული დახმარების საჭიროების მქონე პირისათვის რჩევის მიცემა/ინფორმაციის მიწოდება, მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით მიმართოს იურიდიული დახმარების მიმწოდებელ შესაბამის ორგანიზაციას;

ე) კონსულტაცია - სამართლებრივი რჩევა ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე;

ვ) სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა - განცხადების, სარჩელის, საჩივრის, შესაგებელის, შუამდგომლობისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება;

ზ) წარმომადგენლობა - სამართლებრივი დახმარებით მოსარგებლე პირის ინტერესების დაცვა ადმინისტრაციულ ორგანოში, საგამოძიებო ორგანოში, საარბიტრაჟო სასამართლოში,

სამედიაციო პროცესში, საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო სასამართლოებში;
თ) პორტალი - იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის ვებგვერდი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ქსელის საქმიანობისა და წევრების შესახებ ინფორმაციას. პორტალზე, ასევე, შეიძლება განთავსდეს სასამართლოს მნიშვნელოვანი სამართლებრივი გადაწყვეტილებები და იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებული სხვა სასარგებლო ინფორმაცია.

მუხლი 4. ქსელის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ქსელის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

ა) სამართლებრივი საჭიროების მქონე პირთა უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფა;
ბ) ქსელის წევრებს შორის დისკუსიის, საუკეთესო გამოცდილების გაცვლისა და პრობლემების განხილვისთვის მუდმივმოქმედი ფორუმის შექმნა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
გ) გადამისამართების ძირითად პრინციპებსა და წესებზე შეთანხმება, ამ სფეროში არსებული გამოწვევების პერიოდული ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
დ) უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა მონაცემების ბაზის შექმნა, შესაბამისი მონაცემების პორტალზე განთავსება და მისი სისტემატური განახლება;
ე) გადამისამართების სისტემისა და პორტალის ადვოკატირება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
ვ) ერთობლივი ტრენინგების ორგანიზება იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე;
ზ) საჭიროების შემთხვევაში ერთობლივი კვლევების ორგანიზება იურიდიული დახმარების საკითხებთან დაკავშირებით;
თ) თანამშრომლობა სხვა ქვეყნებში მოქმედ იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ანალოგიურ გაერთიანებებთან;
ი) ქსელის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის შესაბამისი დაფინანსების წყაროების მოძიება;
კ) ქსელის საქმიანობის სტატისტიკის წარმოება და მისი ანალიზი;
ლ) სხვა ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება, რაც ემსახურება იურიდიული დახმარების ცნობადობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდას.

მუხლი 5. ქსელის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ქსელის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:
ა) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და პატივისცემა;
ბ) დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
გ) იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვა;
დ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის წესების დაცვა;
ე) ქსელის კომერციული მიზნით გამოყენების დაუშვებლობა;
ვ) ეფექტიანი და დროული გადამისამართება პირთა საჭიროების შესაბამისად;
ზ) კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების გაწევა.

მუხლი 6. გადამისამართების ეტაპები

1. გადამისამართების ეტაპებია:

ა) სამართლებრივი პრობლემის არსის გარკვევა;
ბ) პირისათვის ქსელის წევრი ორგანიზაციების, მათი იურიდიული საქმიანობის სფეროსა და გეოგრაფიული დაფარვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
გ) საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქისთვის პორტალით სარგებლობის წესების განმარტება.
2. გადამისამართება უნდა ეფუძნებოდეს კეთილსინდისიერებისა და თანამშრომლობის დაცვის პრინციპებს.

მუხლი 7. მუდმივმოქმედი ფორუმი
1. მუდმივმოქმედი ფორუმი არის ქსელის წევრებს შორის ტრენინგების, დისკუსიების, საუკეთესო გამოცდილების გაცვლისა და სამართლის აქტუალური საკითხების განხილვისთვის არსებული პლატფორმა.
2. მუდმივმოქმედი ფორუმზე განსახილველ საკითხებს, აქტუალურობის გათვალისწინებით, წევრების რეკომენდაციის საფუძველზე ამტკიცებს თავმჯდომარე.
3. მუდმივმოქმედ ფორუმზე დასაშვებია სამართლის ადგილობრივი/საერთაშორისო სპეციალისტის/ექსპერტის ანდა იურიდიული მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის გაზრდით დაინტერესებული პირების მოწვევა.
4. მუდმივმოქმედი ფორუმი იმართება სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ.

მუხლი 8. ქსელის წევრთა ვალდებულება
ქსელის წევრი ვალდებულია:
ა) სამართლებრივი დახმარებით მოსარგებლე პირს უფასოდ გაუწიოს სამართლებრივი დახმარება. დაუშვებელია მოითხოვოს რაიმე სახის ანაზღაურება.
ბ) უზრუნველყოს სამართლებრივი მომსახურების გამწევი პერსონალის მიერ ეფექტური გადამისამართების პრინციპების, ეტაპების, პორტალის მოხმარების წესების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება;
გ) ქსელის თავმჯდომარე ორგანიზაციას მიაწოდოს ორგანიზაციის, მათი სამართლებრივი საქმიანობის სფეროსა და გეოგრაფიული დაფარვის შესახებ განახლებული ინფორმაცია, შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 9. ქსელში გაწევრიანება და გაწევრიანების კრიტერიუმები

1. ქსელის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან საუნივერსიტეტო სამართლის კლინიკა, რომელიც განცხადებით მიმართავს ქსელს და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) ეთანხმება და იზიარებს ქსელის მიზნებსა და სულისკვეთებას, გამოხატავს მზაობას ქსელის სხვა წევრებთან თანამშრომლობაზე საერთო მიზნების მისაღწევად;
ბ) აქვს მკვეთრად გამოხატული ინტერესი ანდა სათანადო გამოცდილება იურიდიული დახმარების გაწევის სფეროში;
გ) ბოლო ორი წლის განმავლობაში ეწევა იურიდიულ დახმარებას;
დ) ჰყავს იურიდიული დახმარების გამწევი სულ მცირე ერთი თანამშრომელი, რომელიც არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.
2. წევრად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება ორგანიზაციის გამოცდილება, მისი საქმიანობის ქსელის მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობა და ქსელის საქმიანობაში წვლილის შეტანის პოტენციალი.

3. ქსელის ახალი წევრების მიღების თაობაზე საერთო კრებამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განცხადებით მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში. გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებული იქნას ელექტრონული საშუალების/პლატფორმის გამოყენებით.
4. ქსელის საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და იურიდიული დახმარების მიმღებ პირთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე საერთო კრება უფლებამოსილია, საგამონაკლისო წესით, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, მიიღოს გადაწყვეტილება ქსელში ორგანიზაციის გაწევრიანების თაობაზე ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაშიც.
5. ქსელის საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და იურიდიული დახმარების მიმღებ პირთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე საერთო კრება უფლებამოსილია, ამ მუხლში მოცემული კრიტერიუმების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება ქსელში იმ ორგანიზაციის გაწევრიანების თაობაზე, რომელიც ეწევა ფსიქოლოგიურ კონსულტაციას/მომსახურებას ან სამედიაციო საქმიანობას. აღნიშნული ორგანიზაციების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდნენ წევრთა საერთო შემადგენლობის 1/4-ს.
6. ქსელის წევრობით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა წერილობით უნდა მიმართონ სამდივნოს. წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ორგანიზაციის დასახელება და მისი სამართლებრივი ფორმა;
ბ) რეგისტრაციის თარიღი;
გ) ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების შესახებ;
დ) საკონტაქტო ინფორმაცია და საკონტაქტო პირის ვინაობა;
ე) საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და გეოგრაფიული არეალი;
ვ) ინფორმაცია მიმდინარე ან განხორციელებული პროექტების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიული დახმარების მიწოდებასთან (არსებობის შემთხვევაში);
ზ) ქსელში გაწევრიანების მოტივაცია, მათ შორის, რა წვლილის შეტანა შეუძლია ქსელის ეფექტიანად მუშაობაში. წევრობის მსურველმა ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს ხედვა იმ ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომლებზეც ქსელმა უნდა იმუშაოს დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
6. ქსელის წევრებს არ მოეთხოვებათ საწევრო გადასახადის გადახდა, რათა გახდნენ ქსელის წევრები, ან შემდგომში შეინარჩუნონ წევრობა.

მუხლი 10. ქსელის წევრობის შეწყვეტა
1. ქსელის წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) ორგანიზაციის განცხადება წევრობიდან გასვლის თაობაზე;
ბ) მოქალაქისთვის, იურიდიული დახმარებისთვის რაიმე სახის ანაზღაურების მოთხოვნა ან მიღება;
გ) ამ დებულების მოთხოვნათა სისტემატური ან უხეში დარღვევა;
დ) ქსელში გაწევრიანებისას ან შემდგომი საქმიანობისას ქსელისთვის არსებითად არასწორი ინფორმაციის მიწოდება.
2. ქსელის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობით.

მუხლი 11. იურიდიული დახმარების ქსელის ორგანოები

ქსელის მმართველი ორგანოებია:
ა) საერთო კრება;
ბ) თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე;
გ) სამდივნო.

მუხლი 12. საერთო კრება
1. საერთო კრება შედგება ქსელის ყველა წევრისგან.
2. ქსელის საერთო კრების ფუნქციებია:
ა) ქსელის დებულების დამტკიცება, დებულებაში ცვლილებების შეტანა;
ბ) ქსელის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;
გ) ქსელში ორგანიზაციის გაწევრიანების ან წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
დ) გადამისამართების დამატებითი წესების, პრინციპებისა და სახელმძღვანელო ინსტრუქციების დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა;
ე) საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო/საინიციატივო ჯგუფების თემატური ნიშნით შექმნა;
ვ) ქსელის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განხილვა და დამტკიცება;
ზ) ქსელის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა;
თ) ამ დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ სხვა საქმიანობის განხორციელება თუ იგი ქსელის სხვა ორგანოს კომპეტენცია არ არის.
3. საერთო კრება იკრიბება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ქსელის წევრთა შეხვედრა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ონლაინ ფორმატში.
4. საერთო კრება შეიძლება მოწვეული იქნას ქსელის თავმჯდომარის ან ქსელის საერთო წევრთა 1/3-ის ინიციატივით. საერთო კრების გამართვამდე არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა ქსელის თითოეულ წევრს მის მიერ მითითებულ ელფოსტაზე სამდივნომ უნდა აცნობოს საერთო კრების ჩატარების დრო, ადგილი და განსახილველი საკითხები.
5. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება საერთო წევრთა არანაკლებ ნახევარი. იმ შემთხვევაში თუ კვორუმი ვერ შედგა, საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ იგი შეიკრიბა არაუგვიანეს ერთი თვისა და მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/4.
6. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. შესაძლებელია, კენჭისყრა გაიმართოს ონლაინ, მათ შორის, პორტალის გამოყენებით.

მუხლი 13. ქსელის თავმჯდომარე
1. ქსელს თავმჯდომარეობს - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური.
2. ქსელის თავმჯდომარე:
ა) იწვევს და თავმჯდომარეობს საერთო კრებას;
ბ) ქსელის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, ახორციელებს ქსელის ხელმძღვანელობას და კოორდინაციას;
გ) უზრუნველყოს პორტალის გამართული ფუნქციონირება და მისი დროული განახლება;
დ) წელიწადში ერთხელ საერთო კრებას აბარებს ანგარიშს ქსელის საქმიანობის თაობაზე.
3. ქსელის თავმჯდომარის მოადგილე:
ა) თავმჯდომარესთან ერთად ორგანიზაციულ უზრუნველყოფას უწევს ქსელის საერთო კრებას;

ბ) ქსელის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, ასრულებს მის ფუნქციას და თავმჯდომარეობს საერთო კრებას.

მუხლი 14. ქსელის სამდივნო

1. ქსელის ორგანიზაციულ და ტექნიკურ მომსახურებას ახორციელებს ქსელის სამდივნო, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დახმარებით. მდივანსა და საჭიროების შემთხვევაში სამდივნოს სხვა წევრებს ნიშნავს ქსელის თავმჯდომარე იურიდიული დახმარების აპარატის თანამშრომელთაგან.
2. ქსელის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქსელის წევრების დროულ ინფორმირებაზე პასუხისმგებელია სამდივნო. მდივანი ორგანიზებას უწევს ქსელის შეხვედრისა და საერთო კრების სხდომის ოქმის შედგენას და მის ხელმისაწვდომობას ქსელის დაინტერესებული წევრებისათვის.

მუხლი 15. ქსელის ლიკვიდაცია

1. ქსელი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
2. ქსელის ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს ქსელის თავმჯდომარისა და საერთო კრების სრული შემადგენლობის 3/4-ის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ქსელის ლიკვიდაციის საკითხის ინიცირების უფლება აქვს ქსელის თავმჯდომარეს ან ქსელის წევრთა არანაკლებ 1/4-ს.

მუხლი 16. ქსელის წევრები

იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის წევრები არიან:

ა) სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“;

ბ) „იურიდიული კლინიკა - ჩემი ადვოკატი“;

გ) ა(ა)იპ “ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი”;

დ) თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის კლინიკა;

ე) “ადამიანის უფლებათა ცენტრი”;

ვ) “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”;

ზ) “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”;

თ) “საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა”;

ი) ა(ა)იპ "ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი";

კ) ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის იურიდიული დახმარების ცენტრი;